დამტკიცებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
კანცლერის 2018 წლის 30 აპრილის # 01-52 ბრძანებით

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ", შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" წესდების, დებულების და ამ დებულების შესაბამისად.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/კანცლერის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის/კანცლერის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის მიზნები და ამოცანები

1. დეპარტამენტის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარებას და ინოვაციური განათლების პოპულარიზაციას, მისი ღირებულების გაცნობას ფართო საზოგადოებისთვის, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას, ახალგაზრდა მკვლევრების და მეცნიერების ჩართვას სამეცნიერო საქმიანობაში. დეპარტამენტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანამშრომლობის განვითარებას ბიზნესის, კულტურის, ჯანდაცვის, სოციალურ ინსტიტუციებთან, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.
2. დეპარტამენტის მიზნები:
   ა) სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
   ბ) ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, მათი ინიციატივების მხარდაჭერა და კვლევებში ჩართვის ხელშეწყობა;
   გ) მეცნიერების პოპულარიზაცია;
3. დეპარტამენტის ამოცანები:
   ა) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის რეგულარული შეფასება და მიღებული შედეგების ანალიზი;
   ბ) აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის ტრენინგების ჩატარება და კონსულტირება სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების მოძიების, კონკურენტუნარიანი საპროექტო წინადადების მომზადების და წარდგენის პროცედურებში;
   გ) სამეცნიერო კვლევების დაფინანსება ღია კონკურსის წესით და მათში ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვა ძირითადი პერსონალის სტატუსით;
   დ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ფუნდამენტური ან/და გამოყენებითი კვლევების თანადაფინანსება დონორი ორგანიზაციებიდან საგრანტო პროექტების მოსაზიდად.
   ე) აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის კვლევის შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობა მაღალი გავლენის მქონე სამეცნიერო ჟურნალებსა და საერთაშორისო გამომცემლობებში;
   ვ) ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება ან/და საერთაშორისო ექსპერტების ან/და მეცნიერების ჩართვის ხელშეწყობა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
   ზ) მაღალი დონის საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა - საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმების, სამუშაო შეხვედრების და საზაფხულო სკოლების დაფინანსება და თანადაფინანსება.

თ) აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა ან/და თანადაფინანსება;

ი) ერთობლივი კვლევითი პროექტების წარმოება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კვლევით დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან, ახალგაზრდა მკვლევრების და აკადემიური პერსონალის ჩართვა საერთაშორისო კვლევით გაცვლით პროგრამებში.

კ) აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება/თანადაფინანსება;

ლ) ახალგაზრდა მკვლევრების ინიციატივების მხარდაჭერა და მათი კვლევების დაფინანსება ღია კონკურსის წესით;

მ) ახალგაზრდა მკვლევრების ხელშეწყობა და თანადაფინანსება დონორი ორგანიზაციებიდან კვლევითი გრანტების, სამოგზაურო გრანტების და სხვა სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისთვის გრანტების მოსაპოვებლად;

ნ) დარგში მიმდინარე სიახლეების და სამეცნიერო კვლევის შედეგების ინტეგრირების ხელშეწყობა სასწავლო პროცესში.

ო) ორენოვანი სამეცნიერო პორტალის შექმნა და განვითარება - უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მეცნიერთა კომუნიკაციის გაძლიერება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, მეცნიერების და ახალგაზრდა მკვლევრების ინფორმირება საუნივერსიტეტო, ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შესახებ, სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელოვანი სიახლეების გავრცელება და პოპულარიზაცია და სხვა.

პ) სამეცნიერო პრემიის დაარსება და განვითარება უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერების და ახალგაზრდა მეცნიერების წასახალისებლად;

ჟ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მომავალ სტუდენტთა სექციის შექმნა და განვითარება მათი მეცნიერებით დაინტერესებისთვის;

რ) მეცნიერების განვითარებისკენ მიმართული ახალი იდეების და მიდგომების მხარდაჭერა, კვლევების დაფინანსება, თანადაფინანსება და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სტრუქტურა

1. სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიან:
   ა) დეპარტამენტის უფროსი;
   ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
   გ) სამეცნიერო პროექტების კოორდინატორი;
   დ) დოქტორანტურის კოორდინატორი;
   ე) სპეციალისტები;
2. სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი:
   ა) განსაზღვრავს დეპარტამენტის მუშაობის სტრატეგიას და ხელს უწყობს დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას;
   ბ) ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე;
   გ) დეპარტამენტის შემადგენლობაში შემავალ თანამშრომლებს უნაწილებს სამსახურებრივ დავალებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;
   დ) შუამდგომლობს მეცნიერებს და ახალგაზრდა მკვლევრებს რექტორთან/კანცლერთან სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის დროს უნივერსიტეტისგან თანადაფინანსების გამოყოფის თაობაზე;
   ე) უზრუნველყოფს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული კონკურსების რანჟირებული სიების შედგენას და გამარჯვებულების გამოვლენას;

ვ) ახდენს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგების ანალიზს და უზრუნველყოფს მათ გათვალისწინებას დეპარტამენტის სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის განსაზღვრის დროს;

ზ) ადგენს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შინაარსს და კონცეფციას;

თ) ამყარებს საქმიან კონტაქტებს და არის უნივერსიტეტის წარმომადგენელი პარტნიორებთან კვლევების და სამეცნიერო პროექტების განვითარების კუთხით;

ი) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს სამეცნიერო-კვლევით დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

კ) წარადგენს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ) შუამდგომლობს უნივერსიტეტის კანცლერის წინაშე სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ;

მ) წარუდგენს უნივერსიტეტის კანცლერს წინადადებებს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

ნ) ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის/კანცლერის სხვა დავალებებს.

3. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) უზრუნველყოფს ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო პროექტებში ჩართვის შესახებ წინადადებების შემუშავებას;

ბ) ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევრების კვლევის შედეგების გამოქვეყნებას მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში;

გ) ორგანიზებას უწევს სადოქტორო პროგრამებზე მიღების კონკურსებს;

დ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ფაკულტეტებთან ერთად ახდენს დოქტორანტთა მუშაობის მონიტორინგს;

ე) ახორციელებს დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მონიტორინგს და ადგენს ტრენინგ კურსებს ხელმძღვანელობის უნარების გასაუმჯობესებლად;

ვ) ახალგაზრდა მკვლევრების, მათ შორის დოქტორანტების კვლევითი უნარების და კვალიფიკაციის ასამაღლებლად შეიმუშავებს წინადადებებს, გეგმავს და ორგანიზებას უწევს ტრენინგებს;

ზ) ახალგაზრდა მკვლევრების განვითარების მიზნით შეიმუშავებს სხვა წინადადებებს და რეკომენდაციებს;

4. სამეცნიერო პროექტების კოორდინატორი:

ა) შეიმუშავებს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული კონკურსების და ღონისძიებების ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს;

ბ) კოორდინირებას უწევს შემოსული საკონკურსო განაცხადების დოკუმენტაციის ანალიზს და ტექნიკურ ექსპერტიზას;

გ) კოორდინირებას უწევს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ კონკურსებში გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს;

დ) ამზადებს დონორ ორგანიზაციებთან კორესპონდენციის პროექტებს;

ე) შეიმუშავებს კვლევის ხარისხის კონტროლის მექანიზმების პროექტებს;

ვ) ახდენს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს;

ზ) მონაწილეობას იღებს დეპარტამენტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;

თ) მონაწილეობას იღებს დეპარტამენტის მიზნების, ამოცანების და ფუნქციების განხორციელებაში;

ი) ასრულებს დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებულ სხვა დავალებებს;

5. დოქტორანტურის კოორდინატორი:

ა) აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;
ბ) ეხმარება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს საორგანიზაციო საკითხებში;
გ) კონსულტირებას უწევს დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში;
დ) აწარმოებს კოლოქვიუმის, სემინარის, პროსპექტუსის აღრიცხვის ჟურნალს;
ე) აწარმოებს სადოქტორო ნაშრომების აღრიცხვის ჟურნალს;
ვ) ექსპერტებს და რეცენზენტებს გადასცემს დასრულებული სადისერტაციო ნაშრომს;
ზ) უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის დროულ მიწოდებას დოქტორანტებისთვის და მათ განთავსებას სამეცნიერო პორტალზე;
თ) ახორციელებს დებულების მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სხვა ფუნქციებს;

6. სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი:
ა) ახორციელებს დეპარტამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს;
ბ) შეიმუშავებს სამეცნიერო პორტალზე ასატვირთი ინფორმაციის პროექტებს და ახდენს პორტალის ტექნიკურ მართვას;
გ) მართავს დეპარტამენტის ელექტრონულ ფოსტას;
დ) ახდენს კორესპონდენციის სორტირებას;
ე) დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტინობის შესაფასებლად მონაწილეობას იღებს გამოკითხვის პროცესში;
ვ) დეპატამენტში მიმდინარე საქმიანობიდან გამომდინარე ახდენს ინფორმაციის შეგროვებას და კომუნიკაცია აქვს დეპარტამენტის სამეცნიერო/აკადემიურ პერსონალთან;
ზ) მონაწილეობას იღებს საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზასა და მიმდინარე პროექტების მონიტორინგის პროცესში;
ბ) ასრულებს სხვა დავალებებს, რომლებიც გამომდინარეობს დეპარტამენტის ფუნქციებიდან;

7. დეპარტამენტის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) დეპარტამენტის უფროსი:
- უმაღლესი განათლება - დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
- განათლების სისტემაში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
- საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- ინგლისური ენის ან სხვა უცხო ენის მაღალ დონეზე ცოდნა;
- ლიდერობის უნარები;
- ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები;
- ორგანიზატორული უნარები;

ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:
- უმაღლესი განათლება - დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 4 წლიანი გამოცდილება;
- განათლების სისტემაში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- ინგლისური ენის ან სხვა უცხო ენის მაღალ დონეზე ცოდნა;
- ლიდერობის უნარები;
- ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები;
- ორგანიზატორული უნარები;

გ) სამეცნიერო პროექტების კოორდინატორი:
- უმაღლესი განათლება - მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
- ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ინგლისური ენის ან სხვა უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;

- ეფექტიანი კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარი;

დ) დოქტორანტურის კოორდინატორი:

- უმაღლესი განათლება;
- ადმინისტრაციულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;
- საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ინგლისური ენის ან სხვა უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
- ეფექტიანი კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარი;

ე) დეპარტამენტის სპეციალისტი:

- უმაღლესი განათლება ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;
- საოფისე პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;
- ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

8. დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის კანცლერი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
9. დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით უფროს სპეციალისტსა და სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კანცლერი.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დებულებას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის კანცლერი.

2. ამ დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით.

3. აღნიშნული დებულების დამტკიცებით ძალადაკარგულად გამოცხადა კანცლერის 2017 წლის 21 ივნისის # 01-80 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის დებულება.